ერთი ნაბიჯი მოგებამდე

ლენინგრადი. კიროვის სახ. სტადიონი. 24 ივნისი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) 0:0.

“ზენიტი”: შაპოვალენკო, ბულავინი, კოპინი, ნაუმოვი, იუმაკულოვი, ??დირინი, პოღოსოვი, ვიუნი, ბურჩალკინი, გონჩაროვი (პოლიაკოვი), უნანოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ილიადი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი (გ. ნოდია).

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 0:0.

თუ დავუჯერებთ იმ ლენინგრადელ გულშემატკივრებს, რომლებიც არ აცდენენ მატჩებს თავიანთ სტადიონზე, ასეთი საინტერესო და დაძაბული თამაში წლეულს მათ არ უნახავთ. მართლაც, მატჩი “ზენიტსა” და თბილისის “დინამოს” შორის უაღრესად საინტერესო გამოდგა და მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. მაგრამ თუ “ზენიტის” გულშემატკივრები თამაშის სანახაობრივი სილამაზის გარდა კმაყოფილების გრძნობას განიცდიდნენ გადარჩენილი ქულის გამო, ჩვენ, “დინამოს” ქომაგთ, შეგვიძლია სინანულით აღვნიშნოთ, რომ ამ შეხვედრაში რამდენიმეჯერ ახლოს ვიყავით მოგებასთან და, ამდენად, შეხვედრის ფრედ დამთავრება აშკარად დაკარგულ ქულას ნიშნავს. “ზენიტის” კართან სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა და ზოგიერთი მათგანი ისეთი იყო, რომლებსაც ფეხბურთში გოლის გატანის 100-პროცენტიან შესაძლებლობას უწოდებენ.

პირველ ხუთ წუთში დინამოელებს ორიდან ერთხელ მაინც შეეძლოთ “ზენიტის” კარის აღება. ორივეჯერ გარღვევა მეტრეველმა წამოიწყო ფლანგზე. შაპოვალენკომ პირველ შემთხვევაში უძნელესი ბურთის აღება შეძლო, ხოლო შემდეგ ასათიანმა სულ ახლოდან ააცილა ბურთი მიზანს.

მე-13 წუთზე ასეთივე კრიტიკული მომენტი შეიქმნა სტუმრების კართან და ურუშაძეს მოუხდა ვიუნის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთის მოგერიება, შემდგომში კი შეტევას კვლავ თბილისელები ახორციელებდნენ.

24-ე წუთზე გავაშელი პირისპირ დარჩა მეკარესთან და დააყოვნა დარტყმა, რამაც შაპოვალენკოს საშუალება მისცა ფეხებში ჩახტომოდა მას. ორიოდე წუთის შემდეგ ისევ გავაშელმა ვერ შეძლო ბურთის გატანა ხელსაყრელი მდგომარეობიდან, ხოლო ტაიმის ბოლო წუთებზე ლენინგრადელები გოლს გადაურჩნენ ასეთ სიტუაციაში: ძოძუაშვილმა შაპოვალენკოს თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი, რომელიც კარში გაგზავნა ასათიანმა. ბურთს მიუსწრო თავდასხმის რიგებიდან უკან დაწეულმა უნანოვმა და ზედ ხაზიდან გამოიტანა იგი.

ასევე მიმდინარეობდა ბრძოლა მეორე ტაიმში. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მეტრეველმა, რომელსაც განუწყვეტლივ შეტევაზე მიჰყავდა თავისი გუნდი. საგოლე მომენტები ხშირად იქმნებოდა “ზენიტის” კართან, მაგრამ ბურთის გატანა არ მოხერხდა.

ა. ცეხანელი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო”, 26 ივნისი, 1968 წ.